საექსპერტო დასკვნა

თბილისში, სარაჯიშვილის გამზ#რი №2-ე, არსებულ მიწის მიწის ნაკვეთზე, უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურული პროექტის – საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტი: ნინო მენთეშაშვილი

11.08.2026

დასკვნის გამოყენების წესები

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" და "2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენთან "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებთან" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

სახანძრო უსაფრთხოების სისტემები და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სქემები, შემუშავებული და მოწყობილი უნდა იყოს სტანდარტებისა და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" გათვალისწინებით.სისტემების მონტაჟი უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ და დასრულების შემდგომ ჩაუტარდეს შემოწმება-ტესტირება.

მშენებლობის პროცესში გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, ასევე მათი სპეციფიკაციები და მოწყობის ტექნოლოგიები უნდა აკმაყოფილებდეს "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მოთხოვნებს.

აღნიშნული საექსპერტო დასკვნის მიზანია, დადგინდეს წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან და მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან. წარმოდგენილ ექსპერტიზაში განხილულია მხოლოდ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა ტექნიკურ რეგლამენთთან.

პროექტის აღწერა

საექსპერტოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №2-ე არსებულ მიწის ნაკვეთზე უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურული პროექტი.

პროექტით გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლის მშენებლობა.
შენობა ხუთსართულიანია (ოთხი მიწისზედა სართული და ერთი მიწისქვეშა სართული).
შენობის ყველა სართულზე გადანაწილებულია სხვადასხვა პროფესიული წვრთნის და საგანმანათლებლო დანიშნულების სივრცეები, ასევე მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო საოფისე/ადმინისტრაციული ოთახები, და აუდიტორიები.
საპროექტო შენობის ყველა სართულს გააჩნია ბუნებრივი განათება და განიავება.

ექსპერტიზის შემადგენლობა

1. გამოყენებისა და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება;
2. შენობის სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
3. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
4. ცეცხლმედეგობის ხარისხის და გამიჯვნების შეფასება;
5. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება;
6. გასასვლელი საშუალებების შეფასება;
7. შიგა გარემოს შეფასება
8 . მისაწვდომობის შეფასება;
9. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
10. სახურავის ანაწყობების შეფასება;
11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12. ლიფტების შეფასება;

1. გამოყენებისა და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება.

მოწოდებული პროექტი ითვალისწინებს შენობაში განთავსებული დაკავებულობისთვის წესებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. დაკავებულობები არის კლასიფიცირებული წესების მე -3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

შენობა №1 (საგანმანათლებლო) გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

1. დამხმარე ჯგუფი (დს) (დამხმარე ტექნიკური სათავსოები -3.30; 0.00; +3.30; +6.60; +9.90; +13.20; ნიშნულებზე) – შეესაბამება 312-ე ქვეთავის მოთხოვნებს. წესების მიხედვით დს დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

2. საგანმანათლებლო ჯგუფი (სგ) (სხვადასხვა პროფესიული წვრთნის და საგანმანათლებლო სივრცეები -3.30; 0.00; +3.30; +6.60; +9.90; +13.20 ნიშნულებზე) - შეესაბამება 305-ე ქვეთავის მოთხოვნებს. წესების მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა განეკუთვნება საგანმანათლებლო დანიშნულების სივრცეებს.

3. საქმიანი ჯგუფი (სქ)(საოფისე ფართები 0.00; +3.30; ნიშულზებზე) - შეესაბამება 304-ე ქვეთავის მოთხოვნებს. წესების მიხედვით სქ დაკავებულობა გამოიყენება ისეთი სივრცეებისთვის, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის.

თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.2.1. ცხრილს:

- დამხმარე ტექნიკური სივრცეები 27.9
- საოფისე ფართობები 9.3
- სახანძრო ტუმბოს და ავზის შენობა 27.9
- პროფესიული წვრთნის და საგანმანათლებლო სივრცეები 4.7

ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (დაკავებული ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე წარმოდგენილი თითოეული ფართობის დაკავებულობის დატვირთვა სწორედ არის დაანგარიშებული.

2. შენობის სიმაღლისა და ფართობის შეფასება;

სასწავლებლის შენობის სიმაღლე მიწის დონიდან ზემოთ შეადგენს **19,2** მეტრს და გათვალისწინებულია მიწის დონის ზევით **4** სართული**.**

სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით**:**

- მიწის დონის ზევით I სართული ..... ჯგუფი სგ - (431,6 კვ.მ.); ჯგუფი დს (389 კვ.მ.); ჯგუფი სქ-1 (166.8 კვ.მ.);
- მიწის დონის ზევით II სართული ..... ჯგუფი სგ - (408,5 კვ.მ.); ჯგუფი დს (358.9კვ.მ.); კვ.მ.);
  ჯგუფი სქ (222.2კვ.მ.);
- მიწის დონის ზევით III სართული ..... ჯგუფი სგ - (680.4 კვ.მ.); ჯგუფი დს (312.0კვ.მ.);
- მიწის დონის ზევით IV სართული ..... ჯგუფი სგ - (661.8 კვ.მ.); ჯგუფი დს (335.8 კვ.მ.);
- მიწის დონის ქვევით1 სართული ..... ჯგუფი სგ - (545.2 კვ.მ.); ჯგუფი დს (448.1კვ.მ.);

საპროექტო სასწავლებლის შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის **(I A)** მიხედვით.
საპროექტო საერთო საცხოვრებლის შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის **(I A)** მიხედვით.

3. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;

საპროექტო სასწავლო შენობა კონსტრუქციის ტიპი I A დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის და სიმაღლის მიხედვით სწორედ არის შერჩეული.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლებლის შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, მზიდი კედლების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს, ხოლო შენობის ელემენტების, კომპონენტებისა და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721-ე ქვეთავის მიხედვით. შენობის გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისთვის შეადგენს:

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ..... 2 სთ.
მზიდი კედლები გარე და შიდა ..... არ გააჩნია.
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ..... 2 სთ.
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ..... 1.5 სთ.

6. ცეცხლმედეგობის ხარისხის და გამოჯვნის შეფასება:

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლის შენობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად. პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები 508.4 ცხრილის შესაბამისად გამოჯნულია ერთმანეთისგან ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გამოჯვნებით.

წარმოდგენილი პროექტით ცეცხლმედეგი გამოჯვნები გათვალისწინებულია შემდეგ ფართობებზე:

- კიბის უჯრედები და ლიფტის შახტები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი კედლით.
- -3.30 ნიშნულზე სგ ჯგუფი გამოჯნულია დს ჯგუფისგან 1 საათიანი ხანძარმედეგი კედლით:

- 0.0 ნიშნულზე დს ჯგუფი გამოჯნულია სქ ჯგუფისგან 1 საათიანი ხანძარმედეგი კედლით:
- +3.30 ნიშნულზე სგ ჯგუფი გამოჯნულია სქ ჯგუფისგან 1 საათიანი ხანძარმედეგი კედლით:
- +6.60 ნიშნულზე სგ ჯგუფი გამოჯნულია დს ჯგუფისგან 1 საათიანი ხანძარმედეგი კედლით:
- +9.90 ნიშნულზე სგ ჯგუფი გამოჯნულია დს ჯგუფისგან 1 საათიანი ხანძარმედეგი კედლით:
- +13.20 ნიშნულზე სგ ჯგუფი გამოჯნულია დს ჯგუფისგან 1 საათიანი ხანძარმედეგი კედლით:

საპროექტო დოკუმენტაციისა და წესების მოთხოვნების მიხედვით, მოწყობილი ცეცხლმედეგი გამოჯვნები, მასალის ცეცხლმედეგობა, განთავსების სტრუქტურული მთლიანობა და უწყვეტობა უნდა აკმაყოფილებდეს წესების მე-7 თავის მოთხოვნებს.

7. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა უნდა დაყენდეს შენობებში, რომელთა ყველაზე მაღალი სართულის იატაკის სიმაღლე 9.0 მეტრზე ზემოთაა, სახანძრო-სამაშველო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. <u>ვინაიდან მთლიანი შენობა აღჭურვლია ავტოსაშხეფი სისტემით, 905.3.1 ქვეთავის თანახმად, შესაძლებელია III კლასის მილდგარების სისტემის ნაცვლად მოეწყოს I კლასის სისტემა.</u>
- <u>მილდგარები არქიტექტურული დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში გათვალისწინებულია</u>

- <u>თანახმად 905.4 ქვეთავისა გზა-კიბეებზე სახანძრო სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზედა და ქვედ ა ყველა სართულზე. კიბეების შუა ბაქანზე. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული სახანძროსამაშველო სამსახურთან. პროექტით სახელოს მისაერთებლები გათვალისწინებულია შიგა გასასვლელის გზა კიბეების შუა ბაქნებზე.</u>

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია მთელს შენობაში, ყველა სართულის დონეზე, რაც შეესაბამება 906 ქვეთავის მოთხოვნებს.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- მთელი შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფით, რომელიც ააქტიურებს სახანძრო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემას, აღნიშნული შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მთელი შენობა აღჭურვილია კვალაღმომჩენებით, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემის რუპორები განთავსებულია ყველა სართულის დონეზე, საერთო სივრცეებში, შიგა გასასვლელის გზა კიბეებში, ლიფტებთან, დერეფნებში, რაც შეესაბამება 907.5.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საერთო და საჯარო გამოყენების სივრცეები უზრუნველყოფილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობებით, რასაც ითვალისწინებს 907.5.3.2.1 ქვეთავი.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების/დაწყევის სისტემით. დაწნევის სისტემა სრულად უნდა აკმაყოფილებდეს 909.20.5 და 909.20.6 ქვეთავის მოთხოვნებს, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო დოკუმენტაციაში.
- ვინაიდან შენობაში განთავსებული ლიფტების ნაწილი აკავშირებს 3 ზე მეტ სართულს, 713.14.1 ქვეთავის შესაბამისად, მათ მოეთხოვება ლიფტის ფოიეები, თუმცა ამავე ქვეთავის მე 4 გამონაკლისის მიხედვით ფოიეები არ არის საჭირო თუ შენობა აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით.
- დერეფნები უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემით.

სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით;

- სახანძრო მისაერთებელი განთავსებულია შენობის ფასადზე, სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან, ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
- მისაერთებელთან დაცულია 0.8მX0.9მ. და 2 მეტრი სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც აკმაყოფილებს 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო ტუმბო:

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია ოთახში, რომელიც შემოზღუდულია 2 სააათიანი ხანძარმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება 913.2.1. ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება

915 ქვეთავის მიზნებისათვის გამოვლინდა შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე, რომელიც განისაზღვრება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობასთან მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან შენობის ყველაზე მაღლა მდებარე იატაკის ნიშნულამდე. ასეთი სიმაღლე შენობისთვის 10 მეტრზე მეტი და 30 მეტრზე ნაკლები.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის სიგანე უტოლდება 4,5 მეტრს, ასეთ გზებზე თავისუფალი და ჩაუხერგავი შვეული სიმაღლე არის შეუზღუდავი, ხოლო გზების მოხვევის შიგა რადიუსები უტოლდება 6,0 მეტრს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნას.

შენიშვნა: 4,5 მეტრი გზის სიგანე, წესების მიხედვით განსაზღვრულია არსებული შენობებისთვის, თუმცა საგანგებო სამსახურთან კონსულტაციის შედეგად, მოცემული ტერიტორიისთვის განისაზღვრა შემცირებული, 4.5 მეტრის სიგანის გზა.

ვინაიდან შენობის დაკავებულობა განისაზღვრება სგ ჯგუფის სახით, სავალდებულოა მას ყველა მხრიდან უდგებოდეს სახანძრო ავტოკიბეებისათვის მისასვლელი გზა, რაც წარმოდგენილი გენ-გეგმის საფუძველზე უზრუნველყოფილია და რაც შეესაბამება 915.13 ქვეთავს.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ შენობის ტექნიკური სიმაღლის გათვალისწინებით, ავტოკიბეებისათვის მისაწვდომი თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფა სავალდებულოა და გათვალისწინებულია

სახანძრო ავტოკიბეების და ავტოამწეების დგომის დახრა არ აღემატება 10%-ს, რაც შეესაბამება 915.16 ქვეთავის მოთხოვნას.

8. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

უმაღლესი სასწავლებლის შენობა

თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა გამოთვლილია 1021.2 და 1021.2.2 ქვეთავების შესაბამისად, კერძოდ:

- +13.20 ნიშნულზე ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც უზრუნველყოფილია სამი შიგა გასასვლელი გზა კიბის საშუალებით, რომელებიც 0.00 ნიშნულზე გადიან და პირდაპირ გარეთ და ტროტუარის საშუალებისთ მიემართებიან საზოგადოებრივი გზისკენ.

- +9.90 ნიშნულზე ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც უზრუნველყოფილია სამი შიგა გასასვლელი გზა კიბის საშუალებით, რომელებიც 0.00 ნიშნულზე გადიან და პირდაპირ გარეთ და ტროტუარის საშუალებისთ მიემართებიან საზოგადოებრივი გზისკენ.

- +6.60 ნიშნულზე ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც უზრუნველყოფილია სამი შიგა გასასვლელი გზა კიბის საშუალებით, რომელებიც 0.00 ნიშნულზე გადიან და პირდაპირ გარეთ და ტროტუარის საშუალებისთ მიემართებიან საზოგადოებრივი გზისკენ.

- +3.30 ნიშნულზე ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც უზრუნველყოფილია სამი შიგა გასასვლელი გზა კიბის საშუალებით, რომელებიც 0.00 ნიშნულზე გადიან და პირდაპირ გარეთ და ტროტუარის საშუალებისთ მიემართებიან საზოგადოებრივი გზისკენ.

- 0.00 ნიშნულზე ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც უზრუნველყოფილია სამი შიგა გასასვლელი გზა კიბის საშუალებით და სამი კარით, რომლებიც გადიან და პირდაპირ გარეთ და ტროტუარის საშუალებისთ მიემართებიან საზოგადოებრივი გზისკენ.

- -3.30 ნიშნულზე ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც უზრუნველყოფილია სამი შიგა გასასვლელი გზა კიბის საშუალებით, რომელებიც 0.00 ნიშნულზე გადიან და პირდაპირ გარეთ და ტროტუარის საშუალებისთ მიემართებიან საზოგადოებრივი გზისკენ.

- სართულების მომსახურე გზა-კიბეები ერთმანეთისაგან დაშორებულია 1015.2.1 ქვეთავის მე- 2. გამონაკლისის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ ვინაიდან მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი

სისტემით, გასასვლელებს შორის მანძილი არ არის სართულის მაქსიმალური დიაგონალის 1/3-ზე ნაკლები.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს. აღნიშნული აკმაყოფილებს 1022.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბებში 1022.5 ქვეთავის შესაბამისად არ არის გაყვანილობები და არსებული ღიობები ემსახურება მხოლოდ გასასვლელ საშუალებებს.

- იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი შენობა-ნაგებობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და შენობაში გათვალისწინებულია საავარიო ხმოვანი/განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 5,1 მმ-ია თითო დამკავებელზე.

- მიღებული მაჩვენებელი გადანაწილებულია შენობაში მოწყობილ გზა-კიბეებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული გზა-კიბის სიგანე ჯამური მონაცემებით აკმაყოფილებს 1005.3.1 ქვეთავის გამონაკლისს; ხოლო თითოეული მათგანი აკმაყოფილებს 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეს (1.10 მეტრის სახით). აგრეთვე. იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომ გასასვლელ საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, გზა- კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის 1,2 მ მანძილის დაცვა აუცილებელი არ არის, ვინაიდან მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 1007.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისისა.

- სგ ჯგუფისთვის გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, შენობებისთვის სადაც გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა და საავარიო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.80 მეტრის სახით) წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.80 მეტრს.

- სქ ჯგუფისთვის გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, შენობებისთვის სადაც გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა და საავარიო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით) წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.80 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, შენობებისთვის სადაც გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა და საავარიო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობის ჯამური მონაცემები გადანაწილებულია შენობდან გამოსასვლელ გასასვლელზე და მიღებული მაჩვენებლი ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 10097.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა. ასევე დაკმაყოფილებულია საფეხურების ნაშვერების ზომა თუ მათი ერთგვაროვნება, რაც შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

9. მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია ორივე საპროექტო შენობისთვის და უშუალოდ საპროექტო მიწის ნაკვეთიც მისაწვდომია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის შესასვლელებამდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 105.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

  - უმაღლესი სასწავლებლის პროექტისთვის გათვალისწინებულია 3. შესასვლელი, მათგან 1 წარმოადგენს მთავარს, ხოლო დარჩენილი 2 მეორეხარისხოვანს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ყველა შესასვლელი მისაწვდომია.

- საპროექტო ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამებ1109.2 ქვეთავს. ასეთი მისაწვდომი ოთახები დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში განთავსებულია წყლის დასალევი მისაწვდომი შადრევნების რაოდენობა შეესაბამება 1109.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტები მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში თითოეული მისაწვდომ სივრცეს ემსახურება არანაკლებ ორი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 10071 ქვეთავის მოთხოვნას თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს შიგა გზა-კიბეებს, გასასვლელთან მისადგომ გზა- კიბეებს, გარე გასასვლელის გზა-კიბეებს, ბაქან-ლიფტებს, პანდუსებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი გზა-კიბეები შეესაბამება 1007.3 ქვეთავის 1-ლი და მე-2 გამონაკლისების მოთხოვნებს, კერძოდ ვინაიდან მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, სავალდებულოდ არ განისაზღვრა 1,20 მეტრის უზრუნველყოფა სახელურებს შორის, ისევე როგორც თავშესაფრის ფართობების მოწყობა.

- ორმხრივი კავშირის სისტემა მოწყობილია თითოეული ლიფტის ბაქანთან, გარდა შენობიდან გამოსასვლელი დონისა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი განთავსებულია მხოლოდ შიგა გასასვლელი გზა-კიბეების საზღვრებში, რაც შეესაბამება 1022.9 ქვეთავის მოთხოვნას.

- ამობურცული ნიშნებით და ბრაილით „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ შესაბამისად შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი“, გასასვლელის გზა-კიბის და შენობიდან გამოსასვლელის ყველა კართან არის განთავსებული, რაც შეესაბამება 101.4 ქვეთავის მოთხოვნას,

10. შიგა გარემოს შეფასება:

- შენობაში განთავსებული ცალკეული სივრცეები, რომელთაც გააჩნიათ გარე ფასადზე გამავალი გარე გასაღები ღიობები, რომელთა ფართობი გაღებულ მდგომარეობაში შეადგენს გასანიავებელი იატაკის ფართობის მინიმუმ 4%-ს, ნიავდება ბუნებრივად. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და ქვეთავებს.

- შენობაში განთვასებული იმ სივრცეებს, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ ღიობები ან გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ შეადგენს გასანიავებელი იატაკის ფართობის მინიმუმ 4%-ს, ნიავდება მექანიკურად. მექანიკურად განიავებადი თითოეული სივრცე შესაბამისად ასახულია წარმოდგენილ ნახაზებზე.

- ტუალეტის ოთახები ნიავდება მექანიკურად რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- საერთო სარგებლობის დერეფნებში უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების და კვამლის გაწოვის სისტემა.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებში უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების დაწნევის სისტემა

- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (შიგა და გარე გზა-კიბის საზღვრებშიმ თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე, გასასვლელის აივნებზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 106.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას და აღემატება ამ შემთხვევისთვის სავალდებულო მინიმალურ 1,5 მეტრ მანძილს.

- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

- საზოგადოებისა და თანამშრომლების გამოსაყენებელ, ერთზე მეტ ადგილიან ტუალეტებში უნიტაზები განთავსებულია ცალკე ნაკვეთურებში, რაც აკმაყოფილებს 1210.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

11. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, მათ შორის გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები წესების მოთხოვნების შესაბამისად.

- გარე კედლების ატმოსფერული ზემოქმედებისგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით და წყობით აგებულ კედლებს, წესების 1403.2 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად. ვინაიდან შენობის გარე კედლები წარმოადგენენ ბეტონის ბლოკის წყობას, მათი დაცვა ატმოსფერული ზემოქმედებისგან სავალდებულო არ არის.რაც შეეხება გარე კედლებისსაფარს, შენობის ფასადი ნაწილობრივ მოპირკეთებულია

- გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლები და ღიობები აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის და 602 ცხრილის მოთხოვნებს.

12. სახურავის ანაწყობების შეფასება:

საპროექტო შენობა-ნაგებობის სახურავის სტრუქტურა და არაძირითადი ნაწილების შეფასება განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით (I-A). აღნიშნული კონსტრუქციის ტიპისთვის, სახურავის ცეცხლმედეგონის ხარისხი განსაზღვრულია მინიმუმ 1,5 საათი, რაც წარმოდგენილი პროექტით არის გათვალისწინებული და გამოსაყენებლი მასალების მიხედვით, სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 1,5 საათს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის კლასს (ცხრილი 1505.1ა).სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია 1507.10.2 და 1507.4.3(2) ცხრილების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 653 G-90 da ASTM D 3909 სტანდარტების მოთხოვნებს.

სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახურავის ანაწყობები სახურავის ბურული და არაძირითადი ნაწილები შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

13. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემები აკმაყოფილებს მე-16 თავის მოთხოვნებს.

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

  - სგ ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა თითოეულ სართულზე აღემატება 15 დამკავებელს, შესაბამისად სხვადასხვა სქესისთვის წყალსადენი სისტემების (უნიტაზების და ხელსაბანების) რაოდენობის გამოსაკვლევად დამკავებელთა რაოდენობა გაყოფილია ორად სქესის მიხედვით და მათი რაოდენობა გამოთვლილია 1602.1 ცხრილის შესაბამისად. ყველა სართულზე ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობის წყლის დასალევი შადრევნები. თითოეული სართულის დონისთვის წყალსადენი სისტემების რაოდენობა და მდებარეობა აკმაყოფილებს მე-16 თავის მოთხოვნებს.

სქ ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა თითოეულ სართულზე ასევე აღემატება 15 ადამიანს, შესაბამისად სხვადასხვა სქესისთვის წყალსადენი სისტემების (უნიტაზების და ხელსაბანების) რაოდენობის გამოსაკვლევად დამკავებელთა რაოდენობა გაყოფილია ორად სქესის მიხედვით და თითოეულ დონეზე აღნიშნული ჯგუფისთვის წყალსადენი სისტემების რაოდენობა გამოთვლილია 1602.1 ცხრილის შესაბამისად ყველა სართულზე ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობის წყლის დასალევი შადრევნები. თითოეული სართულის დონისთვის წყალსადენი სისტემების რაოდენობა და მდებარეობა აკმაყოფილებს. მე-16 თავის მოთხოვნებს.

დს, ჯგუფების ფართებს არ გააჩნია ცალკე დამოუკიდებელი წყალსადენი სისტემები, თუმცა ვინდაიდან აღნიშნული სივრცეები წარმოადგენს ძირითადი ფუნქციის დამხმარე ფართებს, რომელიც არ იქნება მუდმივად დაკავებული, მითითებული ჯგუფისთვის წყალსადენი სისტემების არ მოწყობის საკითხი მისაღებად მიგვაჩნია.

14. ლიფტების შეფასება:

საპროექტო დოკუმენტაციით უმაღლესი სასწავლებლის პროექტისთვის გათვალისწინებულია ოთხი სამგზავრო ლიფტი.

№1, №2, №3, №3, ლიფტი აერთიანებს ხუთ სართულს (-3,30 + 13,20 ნიშნულებზე),

ლიფტის შახტები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას; ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

გამოყენებულია 713,14,1 ქვეთავი მე-4 გამონაკლისი, იმის გათვალისწინებით, რომ მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

თითოეულ სამგზავრო ლიფტთან ყველა სართულის დონეზე მოწყობილია საგანგებო ვითარების ნიშანი, რაც შეესაბამება 1702.3 ქვეთავის მოთხოვნას.

ასევე დაცულია 1702.7 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის მიხედვით დაუშვებელია ლიფტები განთავსდეს ისეთ შემომზღუდავში, რომელშიც გზა-კიბეებია.

ორმხრივი კავშირის სისტემა და მისი გამოყენების ინსტრუქცია მოწყობილია თითოეული სამგზავრო ლიფტის ბაქანთან, გარდა შენობიდან გამოსასვლელი დონეებისა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.

მისაწვდომობის ნიშნები განთავსებულია თითოეულ მისაწვდომ ლიფტთან, რაც შეესაბამება და აღემატება 1110 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტისა და თანდართული დოკუმენტაციის, ჩატარებული საექსპერტო ანალიზით ერთმნიშვნელოვნად დავადგინე მისამართზე: ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი №2-ე.-ზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ასაშენებელი უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურული პროექტის "საქართველოს თავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"-ის მიხედვით "შენობა ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობაში ყოფნას.

დაკავებულობების ჯგუფების შერჩევა, ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება, და კონსტრუქციის ტიპის განსაზღვრა განხორციელებულია და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს. წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელების და შენობისან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს. ასევე დამაკმაყოფილებელია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა. შენობა მისაწვდომია შშპ პირებისთვის და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს. გარე კედლები ცეცხლმედეგობის ხარისხი და სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს "წესების" 602 და 705.8 ცხრილების მოთხოვნებს. ცეცხლმედეგობის ხარისხი გამმიჯნავეების მიმართ განსაზღვრულია "წესების" შესაბამად. ხანძრისგან დაცვის სისტემები და წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და ავტოსადგომების შეფასება, ასევე აკმაყოფილებს " წესების" მოთხოვნებს.
საპროექტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე. საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

ექსპერტი ნინო მენთეშაშვილი

11.08.2026

ნინო მენთეშაშვილი



მობილური: 995551302525

ელ.ფოსტა: nino.menteshashvili@yahoo.com

ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული

დაბადების თარიღი: 14 აგვისტო, 1963წ.

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1983 - ივლისი / 1988
არქიტექტორი, არქიტექტურის ფაკულტეტი
მაგისტრი
მიბმული ფაილი

სამუშაო გამოცდილება

შპს არქ ტრენინგ ცენტრი - ტრენერი

შპს არქ ექსპერტიზის ცენტრი, მაისი/ 2017-დან დღემდე

არქიტექტორი ექსპერტი

ექსპერტად მუშაობის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე:

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ.N160, ჯავახიშვილის ქ.N43, ბაგრატიონის ქ.N156, ბაგრატიონის ქ.N158 ტერიტორიაზე;
2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.ბათუმი, დ.აღმაშენებლისქ.N12;
3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გონიო, კახაბრის დასახლების ტერიტორიაზე ს/კ 05.32.27.045);
4. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი- სასტუმრო, ქ. თბილისი, ვარკეთილი(ს/კ 01.19.39.012.037);
5. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძისქ.N27-ის მომდებარედ (ს/კ 01.14.03.040.392);
6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, ტაბახმელა, სოფ.შინდისი(ს/კ/81.02.97.572);
7. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქ.N34 (ს/კ 01.20.01.136.035);
8. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, დაბა ბაკურიანი(ს/კ 64.30.04.832);
9. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დაბა გუდაური(ს/კ 74.06.11.928);
10. ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისი, დიდი ლილო(ს/კ81.08.06.470);
11. ქ. თბილისი, დიდი ლილო, საწყობი(ს/კ 81.08.17.741);
12. საწყობი - ხილის შესანახი, მცხეთა, ქსოვრისი(ს/კ 72.01.10.120);
13. ოჯახური ტიპის სასტუმრო, მცხეთა, მუხრანი(ს/კ 72.09.18.149);
14. რუსთავის წყალი -რეკონსტრუქცია, ქ.რუსთავი, წმ.ნინოს N5(ს/კ 02.05.07.562);
15. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირზირი N61-ში მდებარე შენობაზე საოფისე ფართების დაშენება (ს/კ 01.16.05.003.069);
16. ქ. თბილისი, ქვიშის საშრობი საამქრო - ლილოს დასახლება(ს/კ 81.08.19.404);
17. ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15 (ს/კ 01.19.21.001.193), კომერციული შენობა;

18. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ. რუსთავი- XXI მ/რ, ს/კ 02.03.05.018;
19. დაბა ბაკურიანი, რუსთაველის ქ. შპს „არეა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 64. 30. 17. 044), მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი;
20. დაბა მესტია, კახიანის ქუჩაზე სასტუმროს შენობა;
21. მცხეთა, მისაქციელში, სოფელ ნატახტარში ს/კ 72.03.23.437, ლედ სანათების ასაწყობი საწარმო;
22. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N68ა, ს/კ 01.18.13.033.018, თეთრეულისა და ტანსაცმლის სამრეცხაო;
23. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი. ნაფეტვრები;
24. მრავალფუნქციური კომპლექსი, ქ. თბილისი, კვირაცხოვლის ქუჩა;
25. ქ. დუშეთი, ობსერვატორიის მიმდებარედ, ს/კ 71.51.10.158, საოჯახო სასტუმრო;
26. ქ. თერჯოლა, შპს „თერჯოლმშენის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 33.09.33.373, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
27. ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. N21, ს/კ 01.15.05.061.017, სასტუმრო „ასტორია“;
28. ქ. მარნეული, აბდულა შაიგის ქ №3-ში, ს/კ 83.02.19.347, საცურაო აუზი;
29. ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N28, ს/კ 01.12.08.016.006, მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, კომერციული);
30. ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N10, მ. ჭიაურელის ქ. N5, ლუბლიანას ქ. N4, ჩაჩავას ქ. N1, ლუბლიანას ქ. N5, ს.კ. 01.13.02.006.048, სამედიცინო და ჯანმრთელობის დანიშნულების ობიექტი;
31. ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15 (ს/კ 01.19.21.001.193), კომერციული შენობა;
32. საგარეჯოს რაიონ სოფელ ხაშმში, ს/კ 55.15.63.038, ღვინის ქარხნა;
33. დაბა ბაკურიანი, რუსთაველის ქუჩაზე (ს/კ64.30.02.122), საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი;
34. ქ. თბილისში, სამრეკლოს ქ. N13, ს/კ 01.17.01.016.008, ოჯახური ტიპის სასტუმრო;
35. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხათგვერდი ს/კ 72.12.04.044, მრავალფუნქციური შენობა (ბიბლიოთეკა, სასტუმრო);
36. ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩაN2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ № 01.19.33.008.060), სასაწყობე შენობა;
37. ქ. გურჯაანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #61-63-ში (საკ. კოდი #51.01.61.504) სასტუმრო;
38. ყაზბეგის რაიონი, დაბა გუდაური(ს/კ: 74.06.11.287).სასტუმროს შენობა;
39. ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე ს/კ 01.72.14.008.293, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი;
40. ქ. თბილისი, სამრეკლოს ქ. N13, ს/კ 01.17.01.016.008, ოჯახური სასტუმროს შენობა;
41. ქ. თბილისი,ნაძალადევის რაიონი მექანიზაციის ქუჩა # 1-ში, ს/კ 01.12.12.002.001, მრავალფუნქციური შენობა;
42. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნატახტარი (ს/კ.72.03.26.452). ,,კოკა-კოლა-ს“ სათაო ოფისის შენობა;
43. ქ. თბილისი, სოფელი ქვემო ლისი საკადასტრო კოდი 72.16.18.965, მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი;
44. დაბა სტეფანწმინდა, ს/კ 74.01.11.134, სასტუმროს შენობა;
45. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი, ს/კ 72.08.20.062, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საწარმო;

46. დაბა მესტია, კახიანის ქუჩაზე სასტუმროს შენობა;

47. ოზურგეთის რაიონი, კაპროვანი, ქვემო ნატანები, ს/კ 26.01.50.455, სასტუმროს შენობა;

48. ქ.თბილისი, ლერწმის ქ N5, ს/კ 01.17.14.003.679, მრავალბინიანი საცხ. სახლი;

49. ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, N43-ის მიმდებარედ, 01.14.06.007.055 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

50. ქ. თბილისი, ტერევერკოს ქ.№14-ში, ს/კ 01.13.01.018.093, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

51. ქ. ახალციხეში, ახალციხის გზატკეცილის მიმდებარედ, ს/კ 62.09.60.977, პროკურატურის საოფისე შენობა;

52. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. გველეთი, ს/კ 74.01.15.008, სასაწყობე შენობა;

53. ქ. თბილისი, კახეთის გზადკეცილი #65-ში (ს/კ 01.19.21.003.129), მრავალფუნქციური შენობა.

განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვოდოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო,იან/2014-დან 04 / 2017 - მდე,

